ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

დაბა ქედა

N 16
23/02/2018

16-04-4-201802231546

საქართველოს საერთო სასამართლოებში ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ.ზ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. საქართველოს საერთო სასამართლოებში ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარმომადგენლად დაინიშნოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - მალვინა სურმანიძე (პ/ნ 61008016551).

2. მალვინა სურმანიძეს (პ/ნ 61008016551) მიენიჭოს უფლებამოსილება, რომ წარმოადგინოს საკრებულოს ინტერესები საქართველოს საერთო სასამართლოებში საკრებულოს მიერ ან საკრებულოს მიმართ აღძრულ სარჩელებთან (ადმინისტრაციულ და სამოქალაქო დავებთან) დაკავშირებით. საკრებულოს სახელით შეიტანოს სარჩელი, საჩივარი, შესაგებელი, შუამდგომლობა, ხელი მოაწეროს მორიგების აქტს, დაესწროს და წარადგინოს საკრებულოს პოზიცია მოსამზადებელ და მთავარ სხდომებზე. განახორციელოს საპროცესო კანონმდებლობით ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეებზე მხარისათვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილება.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს "საქართველოს საერთო სასამართლოებში ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 26 ივნისის №22 განკარგულება.

4. ამ განკარგულების დაინტერესებულ მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი № 358).

6. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

შუქრი თურმანიძე

საკრებულოს თავმჯდომარე